საქართველოს მთავრობის

დადგენილება №441

2016 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში:

ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) ფინანსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის ხელმძღვანელი;

ი) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ო) დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

პ) სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის

ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჟ) სამინისტროს დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და სამსახურების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 26 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**